ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 83

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

წელიწადი მეორე

ყოველდღიური გაზეთი

შაბი 1 მან.

საქართველოს რესპუბლიკა

პირა, 13 აპრილი 1919 წ.

მთავრობის მოამბე. ყოველდღიური გაზეთი

(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებები)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ზელის მიწერა 1919 წლისათვის.

ზელის მიწერის ფასი: ერთი წლით—220 მ., ნახევარი წლით—110 მ., ერთი თვე 20 მ. ცალკე ნომერი ყველგან 1 მან. დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიული ანგარიშების დამატებით 2 მანეთი სავალდებულო განცხადებანი დადგენილია ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელს მოწერა მიიღება დღეს 10 საათიდან ოშაბათის 3 საათამდე. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ი. ელიავიშვილის დირექცია.

კვირას, აპრილის 13-ს, დილით **დემონი.** (ქართულ ენაზე) სალამოს ალეკოს მონაწილეობით

„ტრუბადური"

ორშაბათს, იანვრის 14-ს საბანეიგას მონაწილეობით „რიგოლეტო". სამშაბათს, აპრილის 15-ს, პიტროგრადის ფსიხიკალური დრამის ცნობილი მსახიობი ქალის მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით „ყაჩაღნი". ოთხშაბათს, აპრილის 16-ს, ალეკოს მონაწილეობით „ეფიდოვკა". ხუთშაბათს, აპრილის 17-ს, ჟურნალ „ცსუსტრას" საღამო. I. საბანეიგას მონაწილეობით Gala-სპექტაკლი „ფრა-დიავოლო". II. ცნობილი მსახიობ ქალის პეტროგრადის მუსიკალური დრამისა მ. ს. დავიდოვას მონაწილეობით „ჯოფანის ზღაპრები" (რესპერტ.).

670 1—1

ქართული კლუბის დარბაზში

კვირას, 13 აპრილს, დილის 11½ საათზე

პ. დ. საყვარელიძე

წაიკითხავს მოხსენებას

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა"

და

„პრეზიდენტობის საკითხი"

კამათში მონაწილეობას მიიღებენ დამფუძნებელი კრების წევრნი:

ბ. ბ. დ. ლორთქიფანიძე, იეს. ბარათაშვილი, გვაზავა, გ. ნათაძე და სხვანი.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

2—2

ელტერსკისა და ხილეულოგის ღყალთა მექარხნეთა საყურადღებოთ

ბორჯომის სახელმწიფო მამულის გამგეობამ მოაწყო ახალი წყარმოება ქიმიურად სუფთა, მშრალი, უწყლო ნახშირმჟავეს გაზის შეჭენისა და მიწოდებს ბ. ბ. მეჭარხნეებს წყალის დასამზადებლათ.

გაზი შეკუმშული 60 ატმოსფერამდე შეშუშში წონით 10 გირ. ღირს 250 მ. (წმინდა წონა წყლისა).

ბუშტები არ იყიდება, მისზე იღებენ განსაკუთრებულ საფიზდარს.

ბუშტების გამგეობა აძლევს გაზს მექარხნეებს 25 მან. გირვანქის, თუ ისინი ბუშტებს უკანვე დაუბრუნებენ.

მეცნიერისათვის და ცნობებისთვის უნდა მიმართონ ბორჯომის სახელმწიფო მამულის მთავარ კონტორას ბორჯომში.

471 2—2

კავკასიაში სლავიან-რუსთა საზოგადოების საბჭო

წვევს ბ. ბ. წევრებს საზოგადო კრებაზე, რომელიც უნდა შესდგეს ტფილისში რუსთა საკურთხეთო ნოხის საზოგადო ბინაზე, ოთხშაბათს, აპრილის 23-ს, დღის 11 საათზე.

დღესწესრიგე ე ლ ი საკითხებს:

1. საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრთა და მათი კანდიდატების არჩევა.
2. სახოგადოების საქმეთა შესახებ მოხსენების განხილვა.

თუ ეს კრება არ შესდგა წევრთა კანონიერი რაოდენობის დაუსწრებლობის გამო, **ორი** საათის შემდეგ მოხდება მეორე კრება, რომელიც კანონიერად ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილება

მოუწოდებს კანდიდატებს, უმაღლეს და საშუალო სწავლა დამთავრებულთ, ტყის გამგეების (ლესნიჩების) თანამშრომთა თანამდებობაზე.

უპირატესობა ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც კარგად და დაახლოვებით აქვთ შესწავლილი ტყე და ბუნება, და ვინც იციან კარგად სახელმწიფო (ქართული) ენა.

თხოვნების მიიღებს საქართველოს ტყეთა ინსპექტორი შაბათის 1—3 საათამდე.

სატყეო განყოფილება, პეტრე დიდის ქუჩა, № 22).

669 1-1

ტყეთა ინსპექტორი **ხ. ჭურდიანი.**

მიწათ-მოქმედების სამინისტრო

აცხადებს რომ ოთხშაბათს, 1919 წ. აპრილის 16, სამინისტროს შენაზე. (პეტრე დიდის ქ. № 22), დღის 12 საათზე დანიშნულია სიჯარო ვაჭრობა დამზადებულ და დახერხილ ტყის მასალაზე, რომელიც აწყვია სამინისტროს საწყობში—დიდუბე. ნეშტების ახალშენის იქით სულ დაახლოვებით 99.786 ოთხ. ფერხ., შეფასებულია 698,716 მ. და დაყოფილი 14 ნაწილად. აღნიშნულ ტყის გაყიდვისა და გაზიდვის პირობების გაცნობა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა უქმეებისა 9-დან 3 საათამდე სატყეო განყოფილებაში, იმავე შენობაში.

588 3—3

ოფიციალური ნაწილი

განკარგულებანი

იუსტიციის მინისტრისა.

8 აპრილი, 1919 წ.

№ 99.

გადაყვანილია: ტფილისის სამუშარონო № 2 სამყაროშილეს უფროსი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გვათუა დუშეთის სამყაროშილეს უფროსად 1919 წ. აპრილის 8-დან.

№ 100.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან თანახმად თავისი თხოვნისა ლაგოდეხის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებელი ვასილ ფაანაოზის ძე ყიფიანი 1919 წლის აპრილის 1.

№ 101.

განთავისუფლებულია: თანამდებობიდან თანახმად თავისი თხოვნისა სამტრედია-ლანჩხუთის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღსასრულებელი კონსტანტინე ივანეს ძე ბეჟუაშვილი 1919 წ. აპრილის 7.

დანიშნა და იგზავნება სამტრედია-ლანჩხუთის უბნის სასამართლოს გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად ნაფიცი ვექილის თანაშემწე ნიკოლოზ ლავრენტის ძე მიქელაძე 1919 წლის აპრილის 7.

იუსტიციის მინისტრის ამხ.

ხ. ჯაფარიძე.

კანცელარიის დირექტორი

გ. თ. ყიფიანი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრისა.

2 აპრილი, 1919 წ.

№ 71.

დრიგებით დაშვებულია: კონსტანტინე სპარიდონის ძე ბაქრაძე სამინისტროს საბიუჯეტო-სახაზინო განყოფილების ბუხჰალტრის უმცროს თანაშემწედ, ამა წლის 21 მარტიდან.

3 აპრილი, 1919 წ.

№ 73.

დანიშნულია: ბორჩალოს მაზრის გადასახადთა ინსპექტორად 1919 წ. 1 აპრილიდან ზანგეზურის მაზრის ყოფილი ინსპექტორი

5 აპრილი, 1919 წ.

№ 74.

განთავისუფლებულ იყოს: სოხუმის ნავთსადგურის უფროსის ოფიციალობის ასრულებისაგან პორტჩიკი გაჩქიდაშვილი.

ინიშნება: დროებით სოხუმის ნავთსადგურის უფროსობის მოვალეობის ასასრულებლად სამხედრო-საზღვაო სექციის გენერალურ შტაბის განყოფილების საქმეთა მწარმოებლის მოვალეობის ამსრულებელი მიჩნეან ჩიკვაიძე.

8 აპრილი, 1919 წ.

№ 75.

ევალება: ბორის დმიტრის ძე კოვალენსკის სამინისტროს ვაჭრობა მრეწველობის ნაწილის ვიცე-დირექტორის მოვალეობის დროებით ასრულება ამა წლის 1-ლ აპრილიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი **კ. კანდელაკი.**

სამინისტროს დირექტორი **დ. აბხაზი.**

დედანთან სწორია. საქმის მწარმოებელი

გედევანიშვილი.

ცირკულიარული.

საქართველოს რესპუბლიკის საპყრობილეთა უფროსებს.

10 აპრილი, 1919 წ.

№ 678.

მე არა ერთხელ შემინიშნებია, რომ საპყრობილეთა უფროსნი იღებენ ტუსაღებს ყველგვარ დადგენილებას უქონლად, იმ დროს, როდესაც საპყრობილეებში არ უნდა იმყოფებოდნენ დატუსაღებულნი, თუ არ არის ამის შესახებ სათანადო დადგენილება, რადგანაც უმისოდ საპროკურორო ზედამხედველობას არ ძალუძს პატიმართა ყოფნის სისწორე შეამოწმოს. ამას გარდა, ჩემ მიერ შენიშნულია, რომ საპყრობილეთა უფროსნი ან სულ არავის აწყდიან ცნობებს ტუსაღის გაქცევის ან სიკვდილის შესახებ, და თუ აწყდიან ცნობებს ძალიან გვიან, რის გამოც სასამართლოს აპარატის ორგანონი მოკლებულნი არიან შემდეგი მსვლელობა მიიცენ საქმეს, რომელიც მათთან სწარმოებს.

ვიღებ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს, წინადადებას ვძლევ საპყრობილეთა უფროსებს, როდესაც კი აღმოაჩენენ ტუსაღის გა-

მილიციის უფროსს, რათა მან სასწრაფო ზომები მიიღოს გაქცეულის აღმოსაჩენად და შესაპყრობად და ერთდროულად აფრთხილებ, როგორც საპოლიციო ზედამხედველობას, აგრეთვე ამ სამსახურის პირთ, ვისზედაც არიცხება გაქცეული და დაუყოვნებლივ შეიდგენენ ამასთანავე ცქლევა-ძიების წარმოებას, ყოველი დაყოვნება ან ბორო მიზეზად სისხლის სამართლის პასუხის გებაში მიეცემისათვის, აგრეთვე სამსახურიდან დათხოვნისაც.

ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი ა. გელაბარაშვილი.

—

საქართველოს რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქისა.

30 მარტი, 1919 წ.

№ 17.

გამწესებულია: მოქმედი მაკარი მამალაძე ფოსტალიონით 420 მან. ჯამაგირზედ წელიწადში ტფილისის ფოსტის კანტორაში I აპრილიდან 1919 წ.

დანიშნული არიან: ფოსტალიონი წნორის წყალის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისა არსენ დგებუაძე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მე-6 ხარ. დროებით დაქირავებით იმავე კანტორაში ვორონკოვის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფ. ფოსტის მიხეილ ქვაბაძე ზედაზენის ფოსტა-ტელეგრაფის მე-8 კლასის კანტორის უფროსად; ორივე პირველ აპრილიდან 1919 წ.

გადაყვანილი არიან: ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორის დავით ფალავა—ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეში; ნაგომარის ფოსტა-ტელეგრაფის განყ. მე-5 ხარ. ვლადიმერ ქართველიშვილი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორებში: ბორეთის მე-6 ხარ. ივანე მამულოვი, წნორის წყალის მე-4 ხარ. ალექსანდრა ბობილევისა, ტფილისის ტელეგრაფის კანტორის ზინოვი თხინეველი ზედამხედველი ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების: სუფსის ნეღუბეტ კინქლაძე, ხატანების იისპერ არაბაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების სატრედის მაღალი ჯამაგირისა დაშვებული დროებით აღმასრულებლად მესამე ხარისხის მოხელის თანამდებობისა; გრიგოლ კარტოზია, ხონის დაბალ ჯამაგირისა პეტრე გიუნაშვილი იმავე თანამდებობაზედ. ფალავა მლეთაში, კინქლაძე ბაქანაზედ, თხინეველი სატრატალაში ქართველიშვილი, ბობილევისა და გიუნაშვილი ტელეგრაფის კანტორაში. კარტოზია ხონში, არაბაშვილი სატრატიაში, მამულოვი ახალციხეში, ფალავა 1 იანვრიდან, თხინეველი 27 მარტიდგან, კინქლაძე, ქართველიშვილი, მამულოვი, ბობილევისა, არაბაშვილი, კარტოზია, გიუნაშვილი I აპრილიდან 1919 წ.

დათხოვნილი არიან: ფოსტალიონი მცხეთის კანტორისა აიკაძან შუქრიანცი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები ტფილისის ფოსტის კანტორისა ღრუბნის ამხანაგებისა, დროებით დაქირავებული თამარა ტარხნიშვილი III ხარ. გიორგი სამსონაძეი ტფილისის ტელეგრაფის კანტორის III ხარ. გიორგი ბაბაზიშვილი, სამსონაძეი I დეკემბრიდან, შუკრიანცი 6 მარტიდან 1918 წ. ტარხნიშვილი I აპრილიდან ბაბაზიშვილი I მარტიდგან 1919 წ.—მხოლოდ ტრუნინისა, ბაბაზიშვილი და სამსონაძეი თანახმად თხოვნისა.

გამოიცნებულია სამსახურიდან ფოსტალიონი აბზიდის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გრიგოლ ხეთურიძე 4 თვის ჯანმრთელ ვადის გასვლის და სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 16 თებერვლიდან 1918 წ.

ხელს აწერს სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

ბაქოს ოფიციალური განაცხადები

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

სახალხო ფასიან მამულების მიღება

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო მამულების ნაწილის საკრებულომ თვის უკანასკნელ კრებაზე მოისმინა მიწათ-მოქმედების სამინისტროს სახელმწ. წევრის მ. ს. ქარცივაძის მოხსენება საჭირო განკარგულებათა მოსახდენად სახალხო ფასიან მამულების მიღების დროს ტფილისის გუბერნიაში და დადგინა:

ფრიდონოვის მამული

სოფ. სკრაში (გორის მაზრა) მოთავსებული ფრიდონოვის მამულიდან აღებულ იქნეს გეგმა და მიეზომოს ყოფილ პატრონს ერთი ნაკვეთი, რომელიც უნდა დარჩეს ძველ პატრონებს და ამ მამულში პრაქტიკულ სკოლის გახსნის საქმის დასაჩქარებლად, მიეწეროს მ. ს. ქარცივაძეს გამოარკვიოს საკითხი სკოლის გამგის, მებაღის და ოც პრაქტიკანტისთვის ბინის შესახებ.

ფურცელაძის მამული

ეთხოვოს მ. ს. ქარცივაძეს გამოუყოს ყოფილ პატრონს მეეზოვე სასარგებლო 1 დეს. დანარჩენი მამული კი გადაეცეს პრაქტიკულ სკოლას.

ფომინის და ზეზენაძის მამული

სოფ. ატენში (გორის მაზრა) მოთავსებულ ფომინის და ზეზენაძის მამულებს შესახებ ეთხოვოს იფრიდიულ კომისიას გამოარკვიოს ნორმა ამ მამულების ყოფილ პატრონთა მისაზომად. მიეწეროს მ. ს. ქარცივაძეს გამოარკვიოს იმ საკითხისა, თუ რამდენად მოსახერხებელია ამ მამულის ოჯახით გადაცემა ნანადელ პატრონზე თანახმად მისი შეიძლებისობისა.

ვინაიდან ატენის ხეობაში მეენახეობის და მეღვინეობის საქმის წარმოება ხელსაყრელია შეერთდეს სოფინდო მიწის ნაკუთხი 20 დესეტინამდე საცდელ დაწესებულების დასაარსებლათ, იმ პირობით, რომ ეს მიწის ნაკვეთები გაიცეს ოჯახით ადგილობრივ გლეხებზე დროებით.

ბოლგარსკის მამული.

ს. ფლავში (გორის მაზრა) მოთავსებული ბოლგარსკის მამული შესახებ დაადგინეს: მიეწეროს მ. ს. ქარცივაძეს ნორმის გამოყოფის შემდეგ, გამოარკვიოს საკითხი, თუ რა დანიშნულება მიიცეს ამ მამულს, თუ რომ ეს მამული არ იქნება გადაცემული სახელმწიფო სადგურ-მამულო ფონდში, მაშინ მიიღოს ეს მამული.

ამილახვარის მამული.

ს. ქვემო ჭალაში (გორის მ.) მდებარე გ. ი. ამილახვრის ყოფილ მამულის შესახებ: მიეწეროს მ. ს. ქარცივაძეს მოახდინოს გამოკვლევა, თუ რამდენათ გამოსადეგია ეს მამული სასულტურო სადაზმანთებლო მიზანთა საწარმოებლათ.

ორბელიანის მამული.

სოფ. თიბისყანაში (გორ. მ.) მდებარე მ. ვ. ორბელიანის მამულის შესახებ საკრებულო ეთანხმება კომისიის აზრს, რომ ამ მამულში გაიხსნას პრაქტიკული სკოლა, უმჯობესი ეჩვენა ის მამული ოჯახით გადაეცეს არა უმეტეს ერთი წლისა გორის სამხარო კომისიას.

ხეთაგურის მამული.

ს. ს. ნიქოზსა, ბერეთსა და კისპში მდებარე ყოფილ ს. ს. ხეთაგურის მამულებში აღებულ იქნას გეგმა და აღწარილობა ქონების, მხოლოდ წინასწარ ეთხოვოს მიწათმოქმედების მინისტრის ნებართვა, რომ წინანდელ პატრონს, მის სამსახურის გამო, რომელიც მან გაუწია სამრეწველო მეზობლების გაერთიანებას, დაიტოვოს 10 დესეტინამდე.

სულხანიშვილის და ყიუშიძის მამულები.

სოფ. ტორძნისში (გორის მაზრა) მდებარე გ. ი. სულხანიშვილის და სოფ. საღოლაშენში (გორ. მ.) მდებარე ზ. თ. ყიუშიძის მამულების შესახებ დადგენილ იქნა: ვინაიდან ეს მამულები თანახმად მიწათ-მოქმედების მინისტრის რეზოლუციისა მოყვე ვადიან ოჯარით გასცა გორის სამხარო ერობამ ყოფილ პატრონებზე, გამოირკვეს საკითხი, თუ რამდენათ მოსახერხებელია ამ მამულების და გვერდზე მდებარე სფინდო მიწების შეერთება და მოლანაბის ხახი მიეცეს საკულტურო საგანმანათლებლო მიზანთა განსახორციელებლათ და ნორმის გამორკვევის შემდეგ წინანდელ პატრონთა დასატოვებლათ მოხდეს აღწერილობა ამ მამულისა.

სხვა და სხვა მამული.

გარდა ამისა მიეწეროს მ. ს. ქარცივაძეს გამოუყოს ნორმა და მოახდინოს აღწერილობა შემდეგ მამულებში გორის მაზრისა, ს. თამარაშენში—ვ. ჭ. ბაჩაბელის მამული, სოფ. საჭაშეში—ტიტეფინების და დიასპინის, სოფ. ტყვიავეში—კეკელოვისა და ივანოვს, ს. კოლეთში—მ. ჩ. ერისთავს. ს. ჭყოროსში—, ბაჩაბელს და ქ. გოროთან—ოფრიკიანის მამულში.

ეთხოვოს მიწათ-მოქმედების მინისტრს იმ მამულების მისაღებათ, სადაც განხორციელება საცდელ დაწესებულებათა და სკოლების დაარსება, უპირველ ვანკარეულება უკვე გადადებულ თანხის 60000 მანეთიმდე მოეცის შესაწერელთა 2 ნიადაგის მცოდნე პირთაგან და 1 ბოტანიკისაგან.

ყოფილ არამიანცის მამულის შესახებ, რომელიც მდებარეობს ს. სანდროთან (ბორჩალოს მაზრაში) დაადგინეს საჭიროთ შეეკითხოს წინანდელ პატრონსა: სად სურს ნორმის მიზომვა თანახმით 1918 წ. 7 მარტის კანონის შეორე მუხლისა. ასეთივე შეკითხვა მოხდეს ძმათა სუმბათოვილების მიმართ, რომელთა მამულიც ამავე მაზრაში მდებარეობს სოფ. სადაბლოში. ა. ბ. სუმბათოვილის მამული კი, რომელიც ამავე მაზრაში სად. სანდროთან მდებარეობს მიეტოვოს იქვნის იმავე წესით, როგორც მამული ძმათა სუმბათოვილებისა.

ტყის გამგეთა თანაშემწის თანამდებობანი.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს სატყეო განყოფილება მოეწყოდეს კანცილაქებუს, უმაღლეს და საშუალო სწავლა დამთავრებული, ტყის გამგეების (ლესნიჩების) თანაშემწეთა თანამდებობაზე.

უპირატესობა ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც კარგად და დაბლოვებით აქვთ შესწავლილი ტყე და ბუნება და ვინც იცის კარგათ სახელმწიფო (ქართული) ენა.

თხოვნების მიიღებს საქართველოს ტყეთა-ინსპექტორი შუადღის 1—3 საათამდე.

სახალხო განათლების სამინისტროში

განათლების მინისტრის ამხანაგის მიერ მუშაობის დაწყება.

განათლების მინისტრის ამხანაგი დამფუძნებელი კრების წევრი ნოე ცინცაძე უკვე 10 აპრილიდან, შუადღე თავის მოვალეობის აღსრულებას.

სახელმძღვანელოების შემდგენელთათვის.

განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და თავისთან შეკრებილნა დასამტკიცებლათ მოსწენები ახალი სახელმძღვანელოების ატრიბისათვის ჯილდოს და თვით სახელმძღვანელოებზე პრემიების დანიშვნის შესახებ. ეს ზომა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გეგრილებულ სკოლას არა აქვს სათანადო გამოსადეგი სახელმძღვანელოები. ამ საქმეში განათლების სამინისტრო ახალისებს ავტორებს და აორკეცებს მათ მუშაობას განსაზღვრული ჯილდოებით და პრემიებით დანიშვნით. ამ მიზნით გამოთხოვილია ბოგანოებისაგან 100,000 მანეთი. სახელმძღვანელოების დასაფასებლათ და მათი ავტორებისათვის ჯილდოს რაოდენობის განსაზღვრელათ სამინისტროსთან დაარსებული იქმნება კომისია სპეციალიტ, ცნობილი და დამსახურებული პედაგოგების და მეცნიერებისაგან შემდგარი.

შტატის შემუშავება.

განათლების სამინისტროს ახალი შტატები (შემოკლებული) უკვე გადაეცა მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლათ.

მოწვეთა დათხოვნა.

სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილებით აღდგომის დღესასწაულების გამო დღეიდან, 12 აპრილიდან, გაეკეთილების შემდეგ მოწვეულნი დათხოვენ, ნაადრეგმიგეს სწავლა აპრილის 28-ს განახლდება.

მასწავლებელთა კრება.

13 აპრილს ტფ. ქალთა მეორე გიმნაზიის ბინაში დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სასწავლებლების მასწავლებელთა კრება სასკოლო საქმეთა გამო.

მასწავლებელთა პენსია.

განათლების სამინისტროში შეიდს თხოვნები იმ წმასწავლებელთა, რომელიც მსახურებენ საქართველოს ტერიტორიის გარეთ. მასწავლებელნი სათანადო პენსიას თხოვნობენ. ამ საკითხის გადასწყვეტად შეიცდა სპეციალი კომისია.

შრომის სამინისტროში

ინიშნება ფოთის რაიონის შრომის სამინისტროს საქმეთა რწმუნებულად ა/წ. 1 აპრილიდან ლ. კილუბაძის მაგიერ, რომელიც არჩეულია დამფუძნებელი კრების დეპუტატად, ამჟამად ინ'კორიელი.

—

ა/წ. 5 აპრილის თარიღით № 858-ის მიმართვით შრომის სამინისტრომ ამხან აცნობებს ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსს, რომ ა/წ. 3 აპრილს 10, 11 და 12 რიცხვებში მოხდება აღწერა სავაჭრო-სამრეწველოების, სახლოსნოების და ყველა სხვა დაწესებულებების, სადაც სწარმოებს დაქირავებული შრომა. აწერას მოახდენენ სპეციალური რეგისტრატორები, რომელთაც ეძლევათ შრომის სამინისტროსაგან მიცემული ამის შესახებ მოწმოთ.

შრომის სამინისტრო სთხოვს მილიციის უფროსს, რათა მან გასცეს შესაფერი განკარგულება, რომ ხსენებულ რეგისტრატორებს ამოუშინონ ყოველგვარი დახმარება მილიციონერებმა ამ აღწერის დროს.

დამფუძნებელი კრება

აპრილის 11 სხდომა.

თავმჯდომარეობს აღ. ლომთათიძე.

მდივნობს კ. ჯაფარიძე.

კრება იწყება 12 ს. და 45 წ.

ქ-ნი ეკ. სოლოდოვნიკოლისა. მოახსენებს კრებას იმ სარედაქციო კელილებებს, რომლებიც შეიტანა კომისიამ დაშვ. კრებ. დადგენილებაში შესახებ ცენტრალურ დაწესებულებათა რეგიზისიათვის მცირე კომისიის დაარსებისა.

ან. ჯიბაძიშვილი. მოახსენებს კრებას შეანარის კანონ-პროექტის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ავანსის მიცემისა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ავანსი მიეცემათ იმ სახელმწიფო მოსამსახურეთ, რომელთაც იანვრიდან ჯამაგირი არ მომატებიათ. შრომის სამინისტრომ განზრახული აქვს საერთო ნორმების შეგშენება ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთათვის, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს თვითეულ მოსამსახურეს მომავალ გადაიდებულ ჯამაგირის ანგარიშში მიეცემათ 300—300 მანეთი.

შრომის მინისტრი. ერიძე შემოდის დამფუძნებელი კრების წევრი ნოე ცინცაძე უკვე 10 აპრილიდან, შუადღე თავის მოვალეობის აღსრულებას.

სახელმძღვანელოების შემდგენელთათვის.

განათლების სამინისტრომ შეიმუშავა და თავისთან შეკრებილნა დასამტკიცებლათ მოსწენები ახალი სახელმძღვანელოების ატრიბისათვის ჯილდოს და თვით სახელმძღვანელოებზე პრემიების დანიშვნის შესახებ. ეს ზომა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გეგრილებულ სკოლას არა აქვს სათანადო გამოსადეგი სახელმძღვანელოები. ამ საქმეში განათლების სამინისტრო ახალისებს ავტორებს და აორკეცებს მათ მუშაობას განსაზღვრული ჯილდოებით და პრემიების დანიშვნით. ამ მიზნით გამოთხოვილია ბოგანოებისაგან 100,000 მანეთი. სახელმძღვანელოების დასაფასებლათ და მათი ავტორებისათვის ჯილდოს რაოდენობის განსაზღვრელათ სამინისტროსთან დაარსებული იქმნება კომისია სპეციალიტ, ცნობილი და დამსახურებული პედაგოგების და მეცნიერებისაგან შემდგარი.

შტატის შემუშავება.

განათლების სამინისტროს ახალი შტატები (შემოკლებული) უკვე გადაეცა მთავრობას განსახილველად და დასამტკიცებლათ.

მოწვეთა დათხოვნა.

სახალხო განათლების სამინისტროს დადგენილებით აღდგომის დღესასწაულების გამო დღეიდან, 12 აპრილიდან, გაეკეთილების შემდეგ მოწვეულნი დათხოვენ, ნაადრეგმიგეს სწავლა აპრილის 28-ს განახლდება.

მასწავლებელთა კრება.

13 აპრილს ტფ. ქალთა მეორე გიმნაზიის ბინაში დანიშნულია აღმოსავლეთ საქართველოს სასწავლებლების მასწავლებელთა კრება სასკოლო საქმეთა გამო.

მასწავლებელთა პენსია.

განათლების სამინისტროში შეიდს თხოვნები იმ წმასწავლებელთა, რომელიც მსახურებენ საქართველოს ტერიტორიის გარეთ. მასწავლებელნი სათანადო პენსიას თხოვნობენ. ამ საკითხის გადასწყვეტად შეიცდა სპეციალი კომისია.

შრომის სამინისტროში

ინიშნება ფოთის რაიონის შრომის სამინისტროს საქმეთა რწმუნებულად ა/წ. 1 აპრილიდან ლ. კილუბაძის მაგიერ, რომელიც არჩეულია დამფუძნებელი კრების დეპუტატად, ამჟამად ინ'კორიელი.

—

ა/წ. 5 აპრილის თარიღით № 858-ის მიმართვით შრომის სამინისტრომ ამხან აცნობებს ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსს, რომ ა/წ. 3 აპრილს 10, 11 და 12 რიცხვებში მოხდება აღწერა სავაჭრო-სამრეწველოების, სახლოსნოების და ყველა სხვა დაწესებულებების, სადაც სწარმოებს დაქირავებული შრომა. აწერას მოახდენენ სპეციალური რეგისტრატორები, რომელთაც ეძლევათ შრომის სამინისტროსაგან მიცემული ამის შესახებ მოწმოთ.

შრომის სამინისტრო სთხოვს მილიციის უფროსს, რათა მან გასცეს შესაფერი განკარგულება, რომ ხსენებულ რეგისტრატორებს ამოუშინონ ყოველგვარი დახმარება მილიციონერებმა ამ აღწერის დროს.

დამფუძნებელი კრება

აპრილის 11 სხდომა.

თავმჯდომარეობს აღ. ლომთათიძე.

მდივნობს კ. ჯაფარიძე.

კრება იწყება 12 ს. და 45 წ.

ქ-ნი ეკ. სოლოდოვნიკოლისა. მოახსენებს კრებას იმ სარედაქციო კელილებებს, რომლებიც შეიტანა კომისიამ დაშვ. კრებ. დადგენილებაში შესახებ ცენტრალურ დაწესებულებათა რეგიზისიათვის მცირე კომისიის დაარსებისა.

ან. ჯიბაძიშვილი. მოახსენებს კრებას შეანარის კანონ-პროექტის შესახებ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეთათვის ავანსის მიცემისა. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ავანსი მიეცემათ იმ სახელმწიფო მოსამსახურეთ, რომელთაც იანვრიდან ჯამაგირი არ მომატებიათ. შრომის სამინისტრომ განზრახული აქვს საერთო ნორმების შეგშენება ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში მოსამსახურეთათვის, მაგრამ ვიდრე ეს მოხდებოდეს თვითეულ მოსამსახურეს მომავალ გადაიდებულ ჯამაგირის ანგარიშში მიეცემათ 300—300 მანეთი.

შრომის მინისტრი. ერიძე შემოდის დამფუძნებელ კრებაში წინადადებით, რომ მცირე წლოვანებისათვის, ბიჭებს, რომელთაც ჯამაგირი აქვთ არა უმეტეს 250 მან. მიეცეთ 150 მან.

დამფუძ. კრება ღებულობს კანონ-პროექტს შრომის მინისტრის შესწორებით.

შემდეგ კანონის შესახებ მომხსენებლად გამოდის **კ. ნინიძე.** მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ შარშან "თებერვლის გამიჯვა მმიერკავკასიის სეიმის დეკრეტი, რომელიც ებეშოცა სოფლად მფებრივ მიწების თვისუფლ ფიდა-გაყიდვის აკრძალვას.

ეხლა წარმოდგენილი დეკრეტი ეხება კ ლაქებში მდებარე თავისუფად მიწებს, რომლებზედაც არ არის არც შენობა, არც ხეები რომის სამრეწველო დაწესებულება. მათი გადაცემა, თუ ხმები გადაეცემა აყრძალულია კანონი დროებითია და ეხება ისეთ მიწებს, რომლებიც ერთ დესეტინას აღემატებიან.

ლ. შენგელაია. (ს. რ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი კანონ-პროექტი ერთიხელ კიდევ ადასტურებს იმ ფსიქტემიას, რომელსაც მისდევენ მთავრობის პარტია აგრარულ კანონმდებლობაში. ორატორი მოითხოვს, რომ გადაწყვეტილი იყოს ამ მიწების ბედი ერთხელ და სამუდამო მშრომელ ხალხის ინტერესების მიხედვით.

ალ. ასათიანი. აღნიშნავს, რომ ის კანონ პროექტი, რომელიც წარმოადგინა მიწათ-მოქმედების მინისტრმა არსებითად შეიცავს მას შემდეგ, რაც იგი გადაეცა იურიდიულ კომისიას. ამიტომ მოითხოვს კანონ-პროექტის აგრარულ კომისიაში დაბრუნებას.

ი. ბარათაშვილი. (ს. ფ.) აღნიშნავს, რომ კანონი უნდა იყოს უკვე ჩანაცხი საერთო კერძოსაკუთრების სფეროდ - გაყიდვის აკრძალვისა. ამიტომ მთავრობამ უნდა შეიმუშაოს ძირითადი კანონი საერთოდ მიწის საკითხის არორატორი ფრაქციის სახელით ბრალს სდებს მხოლოდ კანონ-პროექტის I მუხლს.

რ. არსენიძე. (ს. დ.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ კანონ-პროექტში დროებითია და ეხება ქალაქებში მდებარე დაუსახლებელ მიწების (ერთ დესეტინაზე ზევით) სყიდვა-გაყიდვის აკრძალვას. ამით ჩვენ არც მრეწველობას შეუშლით ხელს, რადგან კანონი ეხება მხოლოდ ისეთ მიწებს, სადაც არც ქარხანა გ ნებული და არც სხვა რამე სამრეწველო ლ სებულება. კანონი საჭიროა იმისთვის, რომ მოვაცილოთ მიწათ - მოქმედების სამინისტრ კანონ-პროექტს საერთოდ ქალაქების მიწებში. მდებარე მიწების შესახებ. ვიდრე კანონ-პროექტს შემოიტანდეს სამინისტრო და ჩვენ მივიღებდეთ საჭიროა რომ ხსენებული მიწები არ გაიყიდოდნენ.

გ. ჯვარიაძე. (ერ. დემ.) აღნიშნავს, რომ კანონ-პროექტი არის გაგრძელება იმ კანონ ბისა, რომელიც მიღებ ამიერ-კავკასიის სეიმ და სანახევროდ ყოფილ პარლამენტის მიზი მიღება შეუძლებელია, რადგან საკრებულოში მიწის საკითხი დადგას დამფუძნებელ კრებაში და გადასწყვეტს სახელმწიფოებრივ თვალსაზრისით.

მომხსენებელის უკანასკნელ სიტყვის შემდეგ კანონ-პროექტი მიღებულია უცვლელად.

(დასასრული შემდეგ).

სასურსათო საქმე

საქართველოს რკინის გზების სასურსათო კომიტეტმა ბათომში გაგზავნა თავისი რწმუნებული 250,000 ფუთი თეთრი უქვლილის მისაღებად, რომელიც კანადიდან მოიტანეს ინგლისელებმა რკინის გზის მოსასხსტრეთათვის. ბათომში გაგზავნილია 50 ვაგონი უქვლილის გამოსაზიდავად.

ცენტრალური სასურსათო საბჭომ დაამტკიცა საბჭოს მოსასხსტრეთა ახალი შტატი. საბჭოს თავმჯდომარედ დაენიშნა 3,000 მან. და მის ამხანაგს 2700 მან. თვეში ჯამაგირი.

ცენტრალურ სასურსათო საბჭომ მთავრობის წინაშე უშამდგომლობა აღძრა, რათა მას მიეცეს 8 მილიონი თანხა სურსათ-სანოგადის შესაძენათ საჭართველოს მცხოვრებლებისათვის.

ცენტრალურ სასურსათო საბჭო გზავნის ზაქათალის ოლქში და ბორჩალოს მაზრაში თავის რწმუნებულებს 15,000 ფუთი სთესლი ბურის შესაძენათ ახალციხის და ახალქალის მაზრებში დასათესათ.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა სასურსათო ზედამხედველთა შტატი გაუქმდეს და ამის მაგიერათ დაინიშნოს რვა მეთვალყურე ბაზრისა.

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ექიმის გარდაცვალება.

ქალაქის საეპიდემიო ჭრიმი ლეონ ელჩიევი თავის სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს ავათ გახდა სახადით და გარდაიცვალა.

სახადის შემცირება.

ქალაქის სანიტარო სასანიტარო ბიუროს მიერ მიღებულ ცნობებისამებრ სახადით ავადმყოფება ტყილისში შემცირდა. ამავე დროს ქალაქში „წითელა“ ვრცელდება.

საავთმყოფოებში მუშაობის საქმე.

ქალაქის სამედიცო სასანიტარო ბიუროში ყოველ დღე მთამრთავენ პირნი თბილისის ქალაქის საავთმყოფოებში მათთვის რიიგ სამსახურის მიცემის შესახებ. ბიუროს ამ უკანასკნელ ხან დღის განმავლობაში 200 კაცამდე მიიღო სამსახურში და გაიმწესა საავთმყოფოების უფროსი ექიმის განკარგულებაში. ამავე დროს ძველი მოსამსახურენი, რომელთაც გამოუცხადეს 11 ბერილიან კოლეჯებტიურათ სამსახურიდან გასვლა, ახალ მოსამსახურეებს არ ბარებენ საავადმყოფოს განყოფილებებს და თხოულობენ ეხლავე ჯამაგირით დაამყოფილებას და თუ ხუთშაბათამდე საროდითიოდე არის დანიშნული ჯამაგირების დარიგება მათ არ მიიცემა ფული, მაშინ ისინი თხოულობენ ხუთშაბათამდე უფასოთ გამოკვებას საავადმყოფოში. საავთმყოფოს ადმინისტრაციის ადასტურებს სადილის და ვახშმის მიცემას მხოლოდ იმ პირობით, რომ ამის ფასი ჯამაგირებიდან გამოიკითხოთ.

საავადმყოფოს ხარჯთაღრიცხვა

ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ალექსანდრეს სახელობის ქალაქის საავადმყოფოს სახედით ავადმყოფების განყოფილების შესანახნი ხარჯთა-აღრიცხვა, რომელიც სამის თვით ნაანგარიშებულია 367,638 მან. 15 კაპ.

განყოფილების დახურვა ვერის სახლებელში

ქალაქის გამგეობამ დაადგინა ვერის მეორე დასაწყის სასწავლებელში დახუროს მე-4 კლასის პარალელი მოწფეთა სიმცირის გამო (სულ 3—4 მოწფეა) და ამ კლასის მასწავლებელი ქ. ი. ზაალიშვილი ეხლავე იქნას დათხოვნილი სამსახურიდან.

ᲪᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲙᲐᲨᲘᲗᲮᲘ

ტფილისის წყლის ტარიფის გადიდების შესახებ

1886 წ. დაარსებულ ტფილისის ქალაქის წყალსადენს თავიდანვე ერთი და იგივე ტარიფი ჰქონდა 1918 წლის იკლისის პირველამდე, სახელდობრ—ერთი ვედრო წყალი ღირდა კაპეიკს ერთი მეზუთედი.

ქალაქის წყალსადენმა, ძირითად საალრიცხვო თანხის დაფარვის შემდეგ 1907 წლისთვის, 1908 წლიდან გაადიდა ქალაქის შემოსავალი, რომელმაც დანარჩენ შემოსავალთა 19 პროცენტით მაიღრა.

ამიტომ ზუნებრივია, რომ ქალაქს არ ჰქონია საბუთი ტარიფი გაეღიდებინა.

მაგრამ 1917 წლიდან წყალსადენმა ზარალი მოგვა ექსპლოატაციაზე და მოსამსახურეთა შტატის შენახვით გამოწვეულ ხარჯების მეტის მეტი გაზრდით, როდესაც შემოსავალი 1917 წელს განაზღვრული ქალაქის გამგეობა, რომელმაც შეაყენეთ წყალსადენის წარმოება ჩაიბარა, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: ბოლო დროს საგრძნობლად გაზრდილ ქალაქს არა ჰყოფნდა წყალი, ქ. წყალსადენის მილები გაყვანილი იქ დროს, როდესაც ქალაქში ნაკლები რიცხვი იყო მცხოვრებლებისა, ეხლა, როდესაც ქალაქი გაიზარდა, ზოგან ქუჩაში აქმაყოფილებენ მცხოვრები, რასაც ქალქის ზოგიერთ უბნებში უშლიდა მოჰყვა. საჭირო შეიქმნა წყალსადენის საფუძვლიანი გადაკეთება. უმთავრესი შტო აქმაღლად ქალაქამდე მისთვის საჭირო წყალს ვერაო აწვდიდა და ამიტომ დაგეშილად მესამე შტოს გაყვანა. აქვაფონი, წყალსადენის სადგურზე, გვქონდა ხერხანი მხოლოდ ორთქლით მომქმედი ტუმბონი და ისიც ორჯელ ძალზე დაზიანებული, დანარჩენი მანქანები კი შეჩერებული წინა წუთების განაცდიდნენ. საჭირო შეიქნა ახალი მანქანების საჩქაროდ დადგმა. მაგრამ ქალაქის ახალ გამგეობას კასაც ცალკერი ჩაბარდა. საჭირო იყო თანხების მოძებნა წყალსადენზე ხარჯების დასაფარავად.

სცნობდა რა საჭიროდ ქალაქის მოსახლეობის უფარობესი ნაწილისათვის იაფად წყლის მიწოდებას, როგორც პირველი საჭიროების საგანს,—ქალაქის გამგეობა ტარიფის გადიდებამდე სცდილობდა სხვა წყაროები გამოეძებნა წყალსადენის ზარალის დასაფარავად.

წყალსადენის ზარალის შემცირება ქალაქის გამგეობის შეიძლო სამნაირი საშუალებით:

1) წყალსადენის მოსასხსტრეთა შტატის შესანახ საწარმოვო ხარჯების შემცირებით.

2) ქალაქში მოსაწყდენელ წყლის რაოდენობის გადიდებით.

3) ტარიფის გადიდებით.

პირველმა საშუალებამ, მიუხედავად მიღებული ინტენსიური ზომებისა, ვერა სძლია ჩქარი და უშეელებელი ზრდა მასალის ფასისა და მეზი ხელის გაძვირებისა.

წყალსადენზე უდიდეს ხარჯს შეადგენდნენ აქვასადენი—საბობი მასალა, ქალაქში—ბენზინების შენახვა. ქალაქის გამგეობამ ენერგიული ზომები მიიღო და აქვასადენ გამოუსადგებინა „კოკკერკლისს“ და „ვარტენგტონის“ სისტემის ორთქლის მანქანები შესაცვლელ გამოსადგები მანქანებით „დიზელის“ სისტემისა. პირველნი დღეში სწვადნენ 640 ფ. მაზუთს, ანუ წლიურად 233.600 ფუთს,—მეორეებს-კი უნდებათ მხოლოდ 72 ფ. მაზუთი დღეში, ანუ წლიურად 26.280 ფ. ანგარიშად, საბობ მასალაზე ერთი წლის განმავლობაში ეკონომია მიეღეთ 207.320 ფ. მაზუთით. მაგრამ ეს ეკონომია გამგეობის ხარჯთაღრიცხვაში ისე მკვეთრად ვერა სჩანს მხოლოდ იმიტომ, რომ საობობ მასალის რაოდენობის შემცირებასთან ერთად ამ მასალის ფასმა მეტის მეტად ატება.

ანგრეები ციური სობობი მასალის ეკონომიისა ფულზედ რომ გადვიტანოთ, ეხლანდელი ფასების მიხედვით მივიღებთ წლიურად 2.695.160 მ. ეკონომიას.

ნახსენებ ზომასთან ერთად ყურადღება მიქცეულიყო იაფფასიან წყლის ტუმბონების განაწყობრების ეფექტიანობაზე. ტუმბონების კი საფუძვლიანი შეძლება სჩირდებოდათ.

რამდენადაც გარემოება ხელს გვიწყობდა (სათადარიგო მანქანების უქონლობის გამო ტუმბონების შეკეთების დიდხანს ვერ მოვახერხებდით), წყლის ტუმბონები, რომელიც ერთი ხელობა 200,000 ედეროთი ნაკლებს იძლეოდნენ წყლისა, გულდადებითი შეკეთების შემდეგ 1918 წლის დამლევს განაბებულ წყლის მოწოდება სავსებით.

ქალაქში თვალსაჩინო თანხა იხარჯებოდა წყლის მიწვის მოსამსახურეებზე. ამ დროს, როდესაც მათზე გაზეთით ბარკი 1918 წელს (თუ სახეში ვიქონიებთ ამავე წლის პურის მომატებას და არ მივიღებთ მხედველობაში მეზეიდე მომატებას, რომელიც შემოღებულ იქნა მხოლოდ 1919 წელს) ულირდა 286,200 მ. შემოსავალი ამითი ნასხსტრი ორკანებისაგან არ აღემატება 28,200 მ.; ამ გვარად, ზარალი მოგვიდგა 268,200—28200=250,200 მ.

საჭირო იყო ნაწილობითი ლიკვიდაცია ხსენებულ მოსამსახურეთა 28 კაცის 45. ამასთანავე ქალაქის განაპირა უბნებში წყლის ბოდკების შეცვლელი ონკანებით, რომელთაგანაც მოქალაქეთა უღარიბეს ნაწილს უფასოდ მიჰქონდა წყალი. ამ საშუალებით ქალაქმა მიიღო წლიური ეკონომია (28×580×12)—(28,200:45). ¹/₄. 28=166,400 მან. წყალსადენის უმნიშვნელო ადმინისტრაციისაგან შემცირება მოახდა ერთი ინჟენერით, რამაც 10,800 მან. ეკონომია მისცა ქალაქს.

წყალსადენის დანარჩენ ხარჯთ-აღრიცხვაში რომც თუ ძალა შეიძლებოდა ხარჯების შემცირება, პირადი ხარჯების ძლიერი ზრდით, ქალაქს თვალსაჩინო ზარალი მოეგებოდა.

ამიტომ ქალაქის გამგეობა სავსებლოთაცო ხარჯოა შემცირებასთან ერთად შეკლება ზომებს ღებულობდა, რომ ქალაქს, რაც შეიძლება მეტი წყალი ჰქონოდა, როგორც მოკლედებთ მთითხოვნილების დასაკმაყოფილებლად, ისე მეტი შემოსავლის მიზნით.

როგორც ზემოდ ვიყო ნათქვამი, სამნაირად, რამდენადაც თანამედროვე პირობები ხელს უწყობდა, შეაკეთა ქალაქმა ტურბინები, რომელთაც ედე-ღამეში 200,000 ვედროით მეტი წყლის ძლეი აწეს, ე. ი. წინანდებრად.

ქალაქმა დადგა ორი მანქანა „ზულცის“, რომელნიც დღე-ღამეში 720,000 ვედროს იძლეა, გაუქმებულ „კოკკერიდოსი“ და „ვარტენგტონის“ სისტემის მაგიერ, რომელნიც დღე-ღამეში 570,000 ვედროზე მეტს ვერ იძლეოდა. ამგვარად, დღეური წყლის მოწოდება გაიზარდა 150,000 ვედროთი და წყლის დენაც მოწესრიგდა.

ამაგე დროს, რომ ქალაქს უფრო მეტი წყალი რგებოდა, აქვაღის წყალსადენ სადგურზე დადგმული იყო ადგილობრივ მცხოვრებთათვის სასარგებლოდ პატარა წყლის მანქანა, რომელიც წყალს აწოდებს მუშათა ბინებიან. (შარშანდელისაებე აქვაღის ტუხნიკური-სამეურნეო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად სარგებლობენ წყალსადენის უმთავრესი მილებიდან).

ამ ზომამ ქალაქს მისცა წყალი ზედმეტად 50.000 ვედრო.

მესამე ზომა ქალაქისათვის ზედმეტად წყლის მისაცემად იყო წყლის გადამზიდვი სადგურის აშენება ტფილისში მთავარ რეზერვუარებთან.

აქვალის მანქანების მუშაობის შესამცირებლად და წყლის ზედმეტად გამომსმისათვის ქვემო რეზერვუარიდან ზემო რეზერვუარში, შემოღებული იყო ასეთი სისტემა: ერთი უმთავრესი მილით წყალი ჩაედიოდა ქვემო რეზერვუარში და აქედან საგანგებო მანქანით, რომელიც იმყოფებოდა ტფილისში, რეზერვუარებთან გადადიოდა ის ზედეული, 50.000 ვედრო წყალი, რომელსაც ამ სისტემის წყალობით ვღებულობდით ქვემო რეზერვუარში.

ამ ნაირად, წყალთა დენა დღე-ღამეში გაზარდა 250.000 ვედროთი და ზაფხულში ეს განსხვავება გამოიხატება ასე: ზაფხულამდე დღე-ღამეში მოდიოდა 1.400.000 ვედრო წყალი, ზაფხულში –1.650.000.

თუ, მოეხედავთ ამ ზომებისა, წლიური ნაერთი წყლთადენი ნაკლები იყო 1917 წლისაზე, ეს იიხსნება ახალი სტანციის შემოღებით, ე. ი. წლიური დღეების 13-ზე შემოკლებით; მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ორთქლით ტუმბონის ორთვიური შეჩერება მაზუთის უქონლობისა გამო და ამიტომ ქალაქს ამ ხანში 45.000.000 ვედრო წყალი დაკლდა. შეკეთების შემდეგ, რომელიც ეხლა ჰჩქარებითა სწარმოებს, წყალსადენის სამე გამოსწორდება, ზოგიერთა მანქანების შესაკეთებლად საჭიროა სათადარიგო ნაწილები, მაგრამ ეხლა მათი მიღება საზღვარგარეთიდან შეუძლებელია (თუმცა ისინი თავის დროზე იყენენ შეკვეთილნი). და იმაც დროს, სათადარიგო მანქანების უქონლობისა გამო, არსებობს მანქანებსა უნდა იმეშაონ 24 საათი, წესიერი და დროიანი მათი შეკეთება შეფერხებულია, რამაც მანქანის ნაწილები დააზიანა, და ამიტომ მათი სარეგლობო თანდათან კლებულობს. ეს თვალსაჩინო გახდა ამ უკანასკნელ თვეებში, როდესაც შაბი არა გვეშინდა და მოცარო წყალმა საგრძნობლად დააზიანა წყალსადენის მანქანების ნაწილები (დროებით ზოგიერთი მანქანების მუშაობამ 40%-ით იკლო).

ამას გარდა, ქალაქის გამგეობამ სხვანაირი ზომებიც მიიღო წყალსადენის მოსაგვარებლად: აქვაღაში დადგმული 225 ძალიანი მანქანა „გორნსბი“, რომელსაც შეუძლიან დღე-ღამეში მოგვცეს 700.000 ვედ. წყალი, შესდგეთ ნასხს თუ ვიმოვით. (თუმცა შესაფერი ნასხსი შეკეთილია 1917 წ. დამლევს მოსკოვში).

ქალაქის გამგეობამ შეუკეთა სამხრეთ-რუსეთში მაკეთეს ჭარხანა 16 მილეზი სიგრძით 8 ვაინი მესაზე მავიტრალას გასაყვანად, რითაც წყალთადენი შეიძლება გაიზარდოს 3,000,000 ვედროზედ. გამგეობამ ამისთვის 150,000 მან. ბე მისცა ჭარხანას, მაგრამ რუსეთში ბალშევიკურმა მოძრაობამ ხელი შეუშალა ამ საქმის განხორციელებას.

ამავე დროს ზომები იყო მიღებული თვით მიმდინარე წყალსადენის გამოსაყვანად ბოლოჩაურისა და სხ. წყაროებიდან, მაგრამ ფინანსიური ხელმოკლე მდგომარეობამ დროებით შეაჩერებინა გამგეობას ასეთი გაზზრახვა.

წყალსადენის გადიდების გარეშ, გამგეობა ენერგიულ ზომებს ღებულობდა დანარჩენ წყლის რაოდენობის გამოსაკრეფად. მაგრამ, სამწუხაროდ, აქაც გარეგანმა გარემოებამ ხელი შეუშალა საქმეს: როგორც ვიცით, დანარჩენი წყლის ანგარიში სწარმოების წყლის სზომების, რომელიც ამოწმებიან ადმინისტრაციის. ამ წყალ-სახმების დიდი ნაწილი გვაძლევდა ხოლმე ცერმანიდან. მათი შეკეთება სწარმოებდა ქალაქის სახელოსნოებში, სადაც სათადარიგო ნაწილები წყალ-სახმისა ყოველთვის მოიპოვებოდა 1914წ. ომის დაწყებამდე ნახევარ წლით ადრე წყალ-სახმების ტ სათადარიგო ნაწილების მიღება გერმანიიდან შესწყდა, და ამიტომ წყალ-სახმების შეკეთება თანდათან შეუძლებელი შეიქნა. რომ რომ ვეღარსაიდან ვერაფერის გახდა, ქალაქის გამგეობამ 1917 წ. მოახერხა წყალ-სახმების შეკეთება „სიმენსის და გალსკის“ ქარხნებში, ღირებული ფასიც გაუზავნა, მაგრამ რუსეთის ბოლშევიკურმა მოძრაობამ აქაც ხელი შეუშალა საქმეს.

წყალ-სახმითა მომეტებული ნაწილი გაფუჭდა: დაბრძანული წყლის გამოაწარიშება ბევრ აბონენტთან სწარმოებს წინა წლების მიხედვით. წრიულის ქალაქის წყალსადენის სახელოსნო მოაწესრიგა წყალსახმითა სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმე და ახლო მომავალში იმედი ჭნდა ვიქონიოთ ამ წარმოების გაფსკვნებისაზე.

თუმცა ყველა შესაძლო ზომები იქნა მიღებული: 1) ხარჯების შემცირების, 2) წყალთადენის გადიდებისა, 3) დახარჯული წყლის სწორი ანგარიშისა, მაგრამ რაკი დაბრკოლებები სპრძობდნენ გამგეობისაგან მიღებულ ზომებს, რითაც წყალადენის საქმე შეფერხდა,—საჭირო ხდება მოვმართოთ მესამე ზომის ზარალის დასაფარავად: **წყალზე ტარიფის გადიდებას.**

სულ პირველად ქალაქის გამგეობამ წყლის ტარიფი გაადიდა 100%-ით 1918 წლის ზაფხთვეზე, რამაც შემოსავალი გაზარდა მხოლოდ 300.000 მანეთით, იმავე დროს-კი ხარჯი გაიზარდა 1.000.000 მ. უფრო იმის გამო, რომ სახობი მასალა გაძვირდა.

აფარებელი ხარჯების დასაფარავად საჭიროა ტარიფის გადიდება.

ჯერ კიდევ 1918 წელს—ქალაქის გამგეობა მოქალაქეთა უფარობესი ნაწილის დასახმარებლად, ყველა განაპირა უბნებში, რომლებიც მოკლებულნი იყენენ წყალსადენს, აწყობდა უფასო წყალსადენ კრანებს (გაკეთდა 40-მდე კრანი). აგრეთვე გაყვანილი იქნა 800 სადწყალსადენი მილება, რომ განაპირა მცხოვრებთათვის რაც შეიძლება დაეახლოვებინა წყალი. ამიტომ 1918 წლის ტარიფის გადიდება ხალხს არ დასწყინია.

ამ შემთვევაშიაც უფასო კრანებმა ისეთი როლი უნდა ითამაშონ მცხოვრებთა უღარიბესი ნაწილისათვის, რომელიც წინეთ—სახლებში წყალსადენის უქონლობისა გამო, ყიდულობდა წყალს მეზობლისაგან, ან წყალსადენის ბუდკებში.

აწინდელი ტარიფის გადიდება წყალზე ცხადია, არ შეეხება ქალაქის მცხოვრებთა ამ ნაწილს. მცხოვრებთა ის ნაწილი-კი, რომელიც სცხოვრობს უფრო მოწყობილ სახლებში, სადაც წყალსადენი მუშაობს, თავისთავად ცხადია, წყალში ზედმეტ ფასს გაიღებენ.

გამგეობის აზრით სიჭირო ერთ ვედრო წყალზე დაწესდეს 5 კაპ.

ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

○ ტფ. მილიციის უფროსთან ინიშნება ქუთაისის მილიციის უფროსი ვლადიმერ სულქვეულიძე.

○ 10 აპრილს ბოროტ-მოქმედნი დაეცნენ ლაზეკის ბინას (ალექსანდრეს ქ. № 40) და 7000 მან. ღირებული ნივთეულობა წაიღეს.

○ 12 აპრილს კაკალოძისწინას (ხერსონის ქუჩა № 6) უცნობი ბოროტ-მოქმედნი თავს დაეცნენ და 15000 მანეთის ნივთეულობა წაიღეს.

○ დღეს 13 აპრილს ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია ლექცია პ. საყვარელიძისა: „საქართველოს კონსტიტუცია და პრეზიდენტობის საკითხი.

ბათომი, აპრ. 12. ქალაქის თვითმართველობის ბარეგის გამო გაფიცეს 11 აპრილს დასრულდა. გუბერნატორობა **დაანთავისუფლა** 25 კაცი. დანარჩენ ექვსი დანთავისუფლებს მხოლოდ გამოძიების შემდეგ.

ტფილისი. აპრ. 12. ახალციხის ამბების გამოსაძიებლად დანიშნული დამფუძნებელ კრების კომისიის თავმჯდომარემ ახალციხის ფრონტრნების შთავარ-სარდალის გენ. კვინტაძისაგან შემდეგი დამატებითი ცნობები მიიღო: „ჩვენი ჯარის შეტევამდე ახალციხის მაზრაში განდგურებულია თორმეტი ქართული სოფელი და მაჰმადიანთა ერთი სოფელი. ცოტათ დაზიანებულია თორმეტი სოფელი, რომლებშიაც განადგურებულია მხოლოდ ქართული ნაწილები, მაჰმადიანთა კი ორი სოფელი. შეტევის შემდეგ განადგურებულია მაჰმადიანთა ერთი სოფელი. ცოტათი დაზიანებულია მაჰმადიანთა 16 სოფელი. ახალქალაქის მაზრაში განადგურებულია 10 ქართული სოფელი, ცოტათ დაზიანებულია 3 ქართული სოფელი. თემებრელის 11-დან დღევანდლემდე მაჰმადიანთა სოფლები არ დაზიანებულა.

პროვინციაში.

ქ. გორი. ჩვენი სიამაყის ნ. ფორდანის ეკონის პატარა ანდრეიკა გვამი მოასვენეს შაბათს 5 აპრილს ღამის 12 საათზე. სადგურზე მატარებელს შეხვდენ წარმომადგენლები ადგილობრივ სოც.-დემოკრატიულ შუშათა პარტიის ორგანიზაციისა, სოც.-ფედერალისტების პარტიისა, ქალების თვითმმართველობისა, სახალხო გვართიის შუაბის შემადგენლობა, მაზრის კომისარი და სხვა. აქვე ცხელების პატივსაცემად იყო გვართიისა და მილიციის რაზმი. მაზრის კომისარმა ე. ქარცივაძემ თანაგრძნობა გამოუცხადა ნოეს მცხოვრებთა და ორგანიზაციათა სახელით იმ აუწერელ მწუხარების გამო, რომელიც ბედმა ირგუნა მას თვისი საყვარელის შვილის ანტრეპრენის დაკარგვით. ნოემ მადლობა გადაუხადა და სთხოვა გადაეცა მადლობა მცხოვრებთათვის და ყველა ორგანიზაციებისათვის, ადგილობრივ სოც.-დემოკრატიულ შუშთა პარტიის კომიტეტის სახელით შ. ჯავახიშილმა თავის მოკლე სიტყვაში აღნიშნა ის დიდი მწუხარება, რომელიც წილად ხვდა ჩვენს ბელადს და იმედი გამოსთქვა, რომ დიდებული მასწავლებელი სძლევს ამას, კვლავინდებურათ ჩაებმება შუშობაში და თავის პირად სევდა-ვაება, რომელიც ჩვენს სევდა-ვაებად შეიქნა, ბალის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ნოემ იმასაც მადლობა გადაუხადა იმ თბილ გრძნობებისათვის, რომელიც წარმოსთქვა ილ. ჯავახიშვილმა; მან ვერ მოასწრო პასუხი დაეთქვიებინა, სევდამ სძლია, თვალთადან ცრემლები გადმოსცვივნენ და... ქვეთინიც მოისმა. სანიშნო წამები იყო, მხოლოდ მაშინ ვიგრძენით სიღიადე შუშაკრების და ბრაწობა ჩვენი ნუგეშისა.

სახალხო გვართიის სამაზრო შტაბმა კუბო შეამკო ცოცხალი ყვავილების გვირგვინით, რომელზედაც შემდეგი წარწერა იყო: **„ჯერ კიდევ გაუფურჩქნელს წალკოტიდან ჩამოვარდა — პაპანა ანდრეიკას“.** რამდენიმე წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა და ჩვენ გულდაწყდენში, თვალცრემლიანნი გამოვეთხოვეთ მას...

○ ლანჩხუთში ნოე ნიკოლოზის ძე ფორდანიას, ქუთაისის და მისი გუნებრის საკრედიტო დაწესებულების მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წევრთა საზოგადო კრება გამოსთქვამს ურიგსა წუხარებას იმ უმეფლეგის გამო, რომელიც გეწვიათ თქვენ, გიცხადებს გულწრფელ სამძიმოს, იმედოვნებს რომ თქვენ, ძვირფასო მასწავლებელო, სძლევთ ამ მოულოდნელ მწუხარებას და განაგრძობთ ჩვენებრივ თქვენს შუშობას დემოკრატიის და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კავშირის თავმჯდომარე **ბაინაბა შარაშიძე.**

○ ქუთაისის ხაზინის დაბალ მოსამსახურეებმა 2 ამა აპრილს გამოიტანეს შემდეგი დადგენილება: „ის მოსალოდნელი 300 მანეთი, რომელიც მთავრობამ დაადგინა მიეცეს დაბალ მოსამსახურეებს სრულის სახით მოსალოდნელ მომატებულ ჯამაგირებიდან—ქუთაისის ხაზინის დაბალ მოსამსახურეებმა ასეთი სესხი არ მიიღონ და ჯამაგირი მაღლე მოსამსახურენი მხარს უჭერენ მათ იმ შემთხვევაშიაც, თუ ასეთი სესხი შემდეგ მიეცემათ ვორობამ შეაძლია მათ და მოითხოვენ 8 ამ აპრილამდის ჯამაგირების გათანაწორებას შთამბის სამინისტროს მოსამსახურეებთან წასული წლის 1 ივვისტოდან, წინააღმდეგ შემთხვევაში უკიდურეს ეკონომიურ მდგომარეობის გამო მოსამსახურენი მთელი სამართველოს რესპუბლიკის მოსამსახურეებთან ერთად სამსახურს თავს ანებებენ და გაიფიცებიან 8 აპრილს დილის 9 საათიდან.

○ პირველ ქვეთის დივიზიის სამხედრო ინსტრუქტორმა პოლკოვნიკმა ართემელაძემ ახალ-სენაკის სამხედრო უფროსის დავალებისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მოგახლებთ ცოდნა გამართვებას, სენაკის ჯარის კაცთა სწავლა-განათლების სკოლის დასაარსებლათ შეგიძლიათ ცხრა ათასი მანეთი. სკოლის სამხედრო საგნებისათვის ბანაკი უკვე გადადგმულია“. სასურველია ასეთ სიმპატიურ მიზანს სხვა ქალაქებიც მიბაძავდნენ.

○ აგრონომიული ლაბორატორია. ქუთაისის სამაზრო საეროპო გამგეობამ სოფლებში აგრონომიული მუშაობის საჭიროებელი ბარაქების დასაფარავად ერთობის აგრონომებს საჭირო ავანსი მისცა.

○ ქუთაისის სამაზრო საეროპო გამგეობა სასწრაფო მუშაობას აწარმოებს ქუთაისის მაზრაში ტელეფონის ქსელის მოსაწყობათ. სულ ახლო მომავალში ქუთაისის მაზრა დასტრიალი იქნება ტელეფონის ქსელით.

○ ქუთაისის სამაზრო საეროპო გამგეობამ აგრანომიული მუშაობის საწარმოებლათ აგვისტის ნაცვლად ნაწილ შემდეგ დროებით გაგზავნა ერობის აგრანომი ოიღ მაჯავარიანი.

○ ხუთშაბათს, 3 აპრილს შესდგა საგანგებო სასაბარძოს სხდომა და გაარჩია შემდეგი სისხლის სამართლის საქმეები, ბაგათურის, ფაოთას და სხვების რიცხვით ექვს კაცის, რომელთაც ბრალდებულებათ ძარცვა-ყაჩაღა. სასამართლემ ისინი დაბრალებული იქნა და მიუსაჯა 12 წლის კატორღით თითოს.

○ ტყვიის ტყის მცველი სოკოლოვი სასახლოდან გადაიყენეს. მისი მოვალეობის შესრულება დროებით დაეევალა მის მოადგილეს.

○ მომრიგებელ კამერის სხდომა შესდგა ხუთშაბათს 3 აპრილს და გაარჩია შემდეგი საქმეები: მუშა გვარამაძის და ტრეფან ჭუბაბრიას საქმე. პირველი მსახურებდა კოკორეთის ფუთიაქის მოიჯარადარე ასლანიშვილთან, რომელთაც ფული მიეცემული ჭონდა და კიდევ თხოვილათ მომრიგებელთან კამერამ მისი საჩივარი უფუძიდებით დატოვა. მეორე მსახურებდა. ქალაქის სათვისმოუფრო დისნიფექტორათ. კამერამ მისი საჩივარი სამართლიანად იქნა და მიუსაჯა ორი თვის ჯამაგირი.

ერობა

სამომრიგებლო უბნები ქუთაისის მაზრაში.

ქუთაისის მაზრის ერობის ხმოსანთა მესამე ყრილობამ დაადგინა ქუთაისის მაზრა დაყოს შემდეგ სამომრიგებლო უბნებად.

1. მაღდადის კამერა მაღდადში; სახოგადოებანი: მაღდადის, ზეკრის, დიმის, კიკნეთელთის და სადგიტაროს.

2. ამაღლების კამერა ამაღლებაში; სახოგადოებანი: ამაღლების, გორას, და უხუთის.

3. მუხაყრაყის კამერა სოფ. მუხაყრაყში; სახოგადოებანი: მუხაყრაყის, ტრაბანირის და გვიშინჭენების.

4. ვანის კამერა სოფ. ვანში; სახოგადოებანი: ვანის, დვალიფილების და სამაიგოს.

5. სატრენდის კამერა ქ. სატრენდოში; სახოგადოებანი: ქ. სამტრედია და კუდანის სახოგადოება.

6. დიდი ჯიხაშის კამერა ს. დ. ჯიხაშში; სახოგადოებანი: ჯიხაშის, იანეთ-ფურეის და დანარ-ქუტურის.

7. ხონის კამერა ქ. ხონში; სახოგადოებანი: ქ. ხონი, კუბის, ნახახულების და გვიშტების.

8. მუხიანის კამერა სად. მუხიანაზე; სახოგადოებანი: ფარცხანაღვრეის, საყდნის, პატრკეთის და ქვედა და ზედა მაღლის.

9. სვირის კამერა სად. სვირაზე; სახოგადოებანი: სვირის, ობჩის და სიმონეთის.

10. ხრაშიოს კამერა სოფ. ხრაშიოზე; სახოგადოებანი: საფრანის, გურნის, მანდიკორის და კუისუბის.

11. ქუთაისის კამერა ქ. ქუთაისში: სახოგადოებანი: ჯოგნარის, ოფურჩხეთის, რიონის, წყალტუბოს და ქვიტირის.

წესდება

აქციონერული საზოგადოებისა

„კასპური ღვინო“

§ 17.

საზოგადოების მიმდინარე საქმეების საწარმოებლად გამგეობას ნება აქვს ამოირჩიოს თავიდანვე შორის, ან მოიწვიოს გარეშე პირთაგან ერთი ან რამდენიმე დარეკტორ-გამგებელი, რომელთაც უნდა მიეცეს დაწერილებით შემდეგნაირი ინსტრუქცია.

§ 18.

ყოველივე მიწერა-მოწერაზედ ხელს აწერს ერთი გამგეობის წევრთაგანი, ხოლო თამასუქებს, რწმუნების წერილებს, ყოველგვარ ხელშეკრულებს, პირობებს, ნასყიდობას, სხვა აქტებს და ოგრეთვე საკრედიტო დაწესებულებიდან თუ ფოსტიდან საზოგადოების ფულს გამოტანის ქაღალდებს ხელს აწერენ გამგეობის არა ნაკლებ ორი წევრისა.

შენიშვნა: გამგეობას ნება აქვს ცალკე რწმუნების ქაღალდით ფულის გამოტანის უფლება მიანიჭოდეს და ფოსტიდან გადასცეს ერთ-ერთს წევრს.

§ 19.

საზოგადო კრების დადგენილებით გამგეობას წევრნი შეიძლება იქნენ გამოცვლილ სამსახურის ვადას გათავებამდე სიყოფისა, სამის დაუდევრობისა და საზოგადოების ინტერესებისათვის მაენე მოქმედებისათვის.

§ 20.

საზოგადოების სოპარეცო წელიწადი იწყება 1 იანვრიდან და თავდება 31 დეკემბერს.

§ 21.

საზოგადო კრება ირჩევს სარევიზიო კომისიას აქციონერებისაგან და სამის წევრისა და სამის კანდიდატისაგან, ერთი წლის ვადით. სარევიზიო კომისია მოვალეა ერთ თვით ადრე საზოგადო კრების მოწვევამდე შეუდგეს სალარის და თანხების განხილვას და გადასინჯოს ყველა წიგნებისა და საერთოდ საზოგადოების საქმეთა მთელ წარმოებისს. სარევიზიო კომისია თავის მოსაზრებას წარუდგენს გაგეკრების, რომელიც შესაფერისა განპატრებით წარუდგენს საზოგადო კრებას. სარევიზიო კომისიას ნება აქვს, როდესაც საჭიროდ დაინახავს საზოგადოების მთელი ქონების რევიზია მოახდინოს. სარევიზიო კომისია, თუ საჭიროდ დაინახავს, ნება აქვს მოიწვიოს არაჩეულებრივი საზოგადო კრება.

§ 22.

საზოგადო კრების მიერ ანგარიშის დამტკიცების შემდეგ, იმ თანხიდან, რომელიც შენიდა მოგებად აღმოჩნდება, გადაიღება არა ნაკლებ 5%, სათადარიგო თანხის გასაძლიერებლად, რომელიც საზოგადოების ზარალის დასაფარავად არის; შემდეგ ამისა გადიდება საზოგადო კრების მიერ აღნიშნული პროცენტი მოძრავი და უძრავი ქონების ღირებულების თანხის ასანაზღაურებლად (ამორტიზაცია) და განსაზღვრული პროცენტი გამგეობის წევრებისა, დირექტორისა და მოსამსახურეებისა დასაჯილდოებლად თანაზომა საზოგადო კრების განაწილებისა და დანარჩენი მოგება მიეცემათ აქციების პატრონთ დივიდენდათ.

შენიშვნა. დივიდენდი, რომელიც არ იქნება მოთხოვნილი ათი წლის განმავლობაში ჩრიცა საზოგადოების საკუთრებად.

III.

აქციონერთა საზოგადო კრება.

§ 23.

აქციონერთა საზოგადო კრებაში არის ჩვეულებრივი და განსაკუთრებული. ჩვეულებრივ კრებას იწვევს გამგეობა ყოველ წელს, არა უგვიანეს მარტისა განსახილველად და დასამტკიცებლად ანგარიშებისა და ბალანსისა, მომავალ წლის ხარჯთ-აღრიცხვისა, მოქმედების გეგმისა და ამოსარჩევად გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა. ამავე კრებაზედ ირჩევა და სწყდება სხვა და სხვა საქმეები, რასაც თვით გამგეობა წარმოუდგენს განსახილველად.

განსაკუთრებულ საზოგადო კრებას იწვევს გამგეობა თავის შეხებულებით ან და მოთხოვნილებით სარევიზიო კომისიისა ან იმ აქციონერებისა, რომელთა აქციების თანხა უნდა შეადგენდნენ ერთს მეათედს (1/10) ძირითადი თანხისას. როცა საზოგადო კრებას იწვევენ, უნდა გარკვევით იყვეს ნაჩვენები საგნები დანიშნული საზოგადო კრებაზედ განსახილველად. მოთხოვნილება კრების მოწვევისა უნდა სისწრაფეში იქნეს მოყვანილი ერთი თვის განმავლობაში დღიდან ასეთი მოთხოვნილების განცხადებისა..

ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲔᲑᲘ

აუქციონი.

ტფილისის ქალაქის ლომბარდი.

საყოველთაოდ აცხადებს, რომ კვირას, აპრილის 13 ს, დილის 10 საათ., ლომბარდის ბინაზე საჯაროდ გაიყიდება ვადა გასული გროაოები, რომლებიც შეიცავენ ძვირფას ლითონებს და ქვებს, ლითონის საგნებს, სატრავ მაუქანებს, ხალიჩებს, ტყავეულობებს, ტანსაცმლის და საერთოდ ყოველ გვარ მოძრავ ქონებას.

№ № ძვირფას გროაოებისა.

92881, 92885, 95356, 95357, 96417, 101302, 101634, 102470, 107042, 107180, 107264, 107334, 107524, 107565, 107592, 107597, 107612, 107668, 107696, 107721, 107854, 107869, 107896, 107944, 108043, 108119, 108126, 108130, 108208, 108594, 109041, 109197, 111857, 111858, 119520, 119797, 113181, 113867.

№ № ლითონის და სხვ. გროაოებისა.

16734, 16951, 16961, 17019, 17101, 17159, 17791, 18811, 18952.

501 1—1

დაკარგულია ტფილისის პირველ კირძო ლომბარდის ბილეთი 76487 200 მან., რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

500 3—1

ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ ჩუტაე კვირის ძე ქვარცხავას დაკარგეა ნუმერი პასპორტი მიცემული ფოთის შეწრნინი თვითმართველობის მიერ ოცდა რვა მაისს 1908 წ. № 194, რომელიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ.

646. 3—3

ვასილ სოლომონის ძე ბაისაგოლავი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მმონაწერი სიმტკიცის მოწმობისა, რომელიც აღნუნებულია ქ. ტფილისის 1914 წ. ნოემბრის 11-ს სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში მე-3348 №-ით. ამონაწერი გაუქმებულათ ითვლება.

498 3—1

ბესარიონ პაველს ძე კაპანაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიეცემული დილ ჯიხაშის კომისარიატიდან № 215, რომელიც ჩაითვალოს გაუქმებულად. 505 1—1

დაკარგე მოწმობა (ატესტატი) ჰიაფურის № 2 ლესის სფ. სასწავლებლის № 222 9 ივლისი 1912 წ. და სამთო-ტუნელური განყოფილების კურსის გათავებისა № 253 1914 წ. 12 იგლისს, ესხთოვ მნახეთ გამოუზავნოს ტ. ტყიბულში, ქვანაბშირის მაღარიების კანტორაში. მატროფენე ჯაფარიძე. 3—1

ქუთაისის ადგილის ძე გიზი აცხადებს, რომ ამხანაგური ხელშეკრულების დედანი, შემოწმებული ტფილისის ნოტარიუს სტარაზოვის 1916 წ. მაისის 27-ს, რეესტრი № 6979, დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება.

495 3—1

ზებერია იაკობის ძე აბრამიური აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უცხო პასპორტი, მიცემული მის სახელზე ტფილისის მეშჩანთა სამართველოსაგან. პასპორტში მოხსენებული იყო აგრეთვე ცოლი მარგარიტა 45 წ., ვაჟი ხახიტერ 16 წლ. და ქალი მარიამი 10 წ. მშობელ სთხოვ გადასცეს ის შემდეგი მისამართით: მიხეილ ს. № 66. ხელისანთა კლუბი. ზედამხედველს პასპორტმეც. 492 3—1

ონისიმე დავითის ძე გიორგაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მატრიკული № 735, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. მპოვნელს სთხოვენ გამოუგზავნოს, „გზა. „საერთ. რესპუბლიკა“-ს კანტორაში. 3—2 499

მოსე სოლომონის ძე ბარხუდარიი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 5662 რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.

3—2 484

დაკარგულია სიმტკიცის მოწმობა მიცემული ნაცალია იეპის ასულის შახ-პარონიანის სახელზე ტფილისის ოლქის სასაბრთლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1880 წ. იგლისის 30-ს, რეესტრი № 836.

3—2 481

მერი მოშეს ძე კონ. ყობაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უცდო პასპორტი, მიღებული სამმართველოდან 1917 წ. ნოემბრის 20-ს, № 5121. 480 3—2

დაკარგულია ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომის გიორგი ნიცელის პასპორტი, № 975. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება

491 3—2

კონსტანტინე ყიფიანი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტყავის საფული სხვა და სხვა მოწმობებით, აგრეთვე პასპორტიც რაც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 479. 3—3

ტფილისის ქალაქის გამგეობისაგან მიღებული პირადობის მოწმობა ამილღების ქარხნულ სკოლის გამგის ელენე ანტონ პეტტიერაის ასულის სახელობაზე დაკარგულად და გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 486. 3—2

ვეკილობა მიცემული ნიკოლოზ ლეკის ძე დობროვოლსკის სახელზე, და შეღებილი ბათუმის ნოტარიუს ბითაროვ-ბესტავიშვილთან 1917 წ. აგვის ტის 11-ს, რეესტრი № 2649, რომლის მაღიან ის განაგებდა ნინო ბრონსლავის ასულის მოკვეიჩისა და ოღლა ბროწინლოვის ასულ ბუთუოროვის სახლს, გაუქმებულია. ნინო მოკვეიჩი, ოღლა ბეთუოროვა.

493 1—1

ქ. ფოთის მილიციის სამმართველო აცხადებს, რომ ელდამირ ზურაბის ძე ჩაჩიბაიის დაეკარგა სამფიები სხვა და სხვა პირებიდან ვექილობით გაღმოცემული და აღსანიშნებით ფურცელი სენაკის მომრიგებელ მოსამართლისაგან მოცემული კოპია, მელიქია და ეკატერინე ჩაჩიბაიის სახელზე.

648. 3—3

აპოლინარია აპოლონ მიქელაძის ასული აცხადებს, რომ მან დაჰკარგა შვიდი კილის ატესტატი, და რვა კლასის მოწმობა, მიღებული ქ. ქუთაისის სახლებიდან 1912 წ. რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 502 3—2